ა.ა.ი.პ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

ქ. ბოლნისი სააკაძის ქ. №1; ტელ:599-85-97-37; ელ -ფოსტა: m.mamardashvili@mail.ru

09.08.2021წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 61

2021 წლის 21 იანვრის საქართველოს მთავრობის N 67 - ე განკარგულების „ საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2021 წლის 3 თებერვლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამნმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 01-11/ნ ბრძანების „COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის“ შესახებ,ა.ა.ი.პ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ წესდების მე - 2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ა.ა.ი.პ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შინაგანაწესის მე - 2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისშესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ა.ა.ი.პ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ დამტკიცდეს სამოქმედო გეგმა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვის შესახებ;
2. დანართი N 1 თან ერთვის 4 ფურცლად, რომელიც წინამდებარე ბრძანების განუყოფელი ნაწილია;
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქ.N 113) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22 – ე მუხლის შესაბამისად.
4. ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.

ცენტრის დირექტორი / მ. მამარდაშვილი/

საქართველო
ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
BOLNISI MUNICIPALITY CITY HALL

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№2760

2021 წლის 03 აგვისტო

ქ.ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის განხორციელების მუნიციპალური შტაბის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ

1.შეიქმნას COVID-19-ის ვაქცინაციის ხელშეწყობის და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ბოლნისის მუნიციპალიტეტში COVID_19-ის ვაქცინაციის განხორციელების მუნიციპალური შტაბი შემდეგი შემადგენლობით:

შტაბის უფროსი:
დავით შერაზადიშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი;

შტაბის უფროსის მოადგილე:
ვალენტინა ნავერიანი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
წევრები:
ეროდი უგრეხელიძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი;
მალხაზ ვეშაპიძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი;
თამარ ხოფერია -ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
ბადრი კობიაშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

საქართველო, ბოლნისი 1100, სულხან-საბა ორბელიანის ქ.№106 ტელ: (+995 358) 22 29 29; ფაქსი: (+995 358) 22 25 00
Email:bolnisimunicipality@bolnisi.gov.ge Web:bolnisi.gov.ge, 106 s.s.orbeliani, Bolnisi, 1100, TeL: (+995 358)22 29 29; Fax: (+995 358) 22 25 00

ნანა არველაძე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული უზრუნველყოფილების უფროსი;
მაკა მამარდაშვილი - ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორი;

გია სანიკიძე - შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკის" ხელმძღვანელი;
ზურაბ ადამაშვილი - შპს „ტრიო-მედის" დირექტორი;
2.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის

22-ე მუხლის შესაბამისად, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №113.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

დავით შერაზადიშვილი

საქართველო, ბოლნისი 1100, სულხან-საბა ორბელიანის ქ.№106 ტელ. (+995 358) 22 29 29; ფაქსი: (+995 358) 22 25 00
Email:bolnisimunicipality@bolnisi.gov.ge Web:bolnisi.gov.ge. 106 s.s.orbeliani. Bolnisi, 1100. Tel.: (+995 358)22 29 29; Fax: (+995 358) 22 25 00

ა.ა.ი.პ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

ქ. ბოლნისი სააკაძის ქ. №1; ტელ:599-85-97-37; ელ -ფოსტა: m.mamardashvili@mail.ru

30.08.2021წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 71

ა.ა.ი.პ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შინაგანაწესის მე - 2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისშესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

2021 წლის 21 იანვრის საქართველოს მთავრობის N 67 - ე განკარგულებით„ საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ და 2021 წლის 3 თებერვლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამნმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 01-11/ნ ბრძანებით„COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის“ შესახებ დადგენილი წესების განსახორციელებლად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის,, ბოლნისის მუნიციპალიტეტში COVID-19 ვაქცინის დანერგვის და ხელშეწყობის სამოქმედო გეგმ“-ის შესაბამისად ა.ა.ი.პ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისცენტრში“ შეიქმნას 3 ამცრელი მობილური ბრიგადა შემდეგი შემადგენლობით:

ა) ექიმი - ნუნუ კავკასიძე;
ბ) ექთანი - ლენა ისაკაძე;
გ) რეგისტრატორი - თამარ ისაკაძე;
დ) ექიმი - თამილა ქუფარაშვილი;
ე) ექიმი - მანანა კილასონია;

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქ.N 113) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22 – ე მუხლის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.

ცენტრის დირექტორი: მ. მამარდაშვილი

დანართი 1

ბოლნისის მუნიციპალიტეტში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვისა და ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა

1. შესავალი

ახალმა კორონავირუსმა (SARS-COV-2) და მის მიერ გამოწვეულმა დაავადებამ (COVID-19) კაცობრიობა უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა, რადგან პანდემიამ ადამიანების დანაკარგთან ერთად უპრეცენდენტო ეკონომიკური დანახარჯები გამოიწვია. COVID-19-თან გამკლავება ყველა ქვეყნის მთავრობის ძირითადი პრიორიტეტი გახდა. ბოლნისის მუნიციპალიტეტში 2020 წლის გაზაფხულზე განხორციელებულმა შეკავების ღონისძიებებმა და კრიზისის დასაძლევად გადადგმულმა ნაბიჯებმა შეარბილა COVID-19-თან ასოცირებული უარყოფითი შედეგები, რამაც შესაძლებელი გახადა მაისიდან შემზღუდველი ზომების ეტაპობრივი შემსუბუქება.

2. მოთხოვნის შექმნა და კომუნიკაცია

ახალი ვაქცინების დანერგვის მრავალწლიანი გამოცდილება და მტკიცებულებები ადასტურებს, რომ მკაფიო და ეფექტური კომუნიკაცია აუცილებელია COVID-19 ვაქცინაციის პროგრამის წარმატებული დანერგვისათვის, რომლის ინიცირება ვაქცინების ხელმისაწვდომობამდე უნდა დაიწყოს. საზოგადოების ინფორმირებულობის გარდა, ვაქცინის მიმღებლობაზე მოქმედებს სამი ფაქტორი, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს პრობლემის გააზრებისა და სტრატეგიების იდენტიფიცირების მიზნით: ხელშემწყობი გარემო, სოციალური ზეგავლენა და მოტივაცია.

3. მიზანი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კოვიდვაქცინაციის ხელმისაწვდომობა ერთის მხრივ სამედიცინო პუნქტების საშუალებით და მეორეს მხრივ ამ სამედიცინო პუნქტებში ვაქცინაციის მოთხოვნის შესაბამისად ამცრელი ბრიგადების ზრდა, რამაც საშუალება უნდა მისცეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რომ ჩაერთონ მასიურ იმუნიზაციაში და შეიქმნას კოვიდინფექციაზე იმუნური ფენა;

მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო დაწესებულებები იყვნენ მომზადებული და შეძლონ საქართველოში არსებული ვაქცინის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის , ჰქონდეს პაციენტს ვაქცინის არჩევის საშუალება.

4. ფაქტორები რომელიც გავლენას ახდენენ ვაქცინაციის პროცესზე

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის 31% ქართველია, 63% აზერბაიჯანელი, ხოლო 6% - არის სხვა ეროვნების, რომელთა უმრავლესობა ეთნიკურად სომეხი მოქალაქეა; შესაბამისად, ენის ბარიერის გარდა, აქ ასევე გვაქვს მოსახლეობის ნიჰილისტური დამოკიდებულება კოვიდ ინფექციისა და განსაკუთრებით, კოვიდ ვაქცინაციის

შესახებ, რომლის ერთ-ერთი მიზეზი არის სწორედ აზერბაიჯანულ მედიასა და სოციალურ ქსელში არსებული მცდარი ინფორმაცია, რომლითაც სარგებლობს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეთნიკური მოსახლეობა;

აქვე უნდა აღინიშნოს,რომ მუნიციპალიტეტში არის ძალიან მაღალი მობილობა, განსაკუთრებით აზერბაიჯანელები ძალიან ხშირად გადადიან მეზობელ აზერბაიჯანში და პირიქით. ასევეა სომეხი მოსახლეობაც, რომელიც გადაადგილდებასომხეთში. ისინი ძირითადად ეყრდნობიან მათი ახლობლებისა და ნათესავების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც რიგ შემთხვევაში ქმნის ბარიერს მათთან ურთიერთობაში, რომ შევთავაზოთ საქართველოში არსებული სხვადასხვა სამედიცინო სერვისი ან შეიძლება, გარკვეულ შემთხვევებში, ეს იყოს პირიქით ხელისშემწყობი ფაქტორიც;

- აქვე უნდა აღინიშნოს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში არსებული შრომითი რესურსი, რომელიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა ასაკის კვალიფიციური სპეციალისტით და აქვთ გამოცდილება სხვადასხვა დაავადების საწინააღმდეგო მასიური ვაქცინაციის კამპანიაში მონაწილეობის,მაგალითად, როგორიცააყვავილის, პოლიომიელიტის, წითელას საწინააღმდეგო იმუნიზაცია.
- **ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული სამედიცინო დაწესებულებები:**
- შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა -ერთი ჰოსპიტალი;
- 2 პოლიკლინიკა;
- 6 საექიმო ამბულატორია;
- 28 ფიზიკური პირი/სოფლის ექიმი;
- 32 ფიზიკური პირი/სოფლის ექთანი;

ზემოთ აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებები და პერსონალი ემსახურება მუნიციპალიტეტის მასშტაბით 29 ვაქცინაციის კაბინეტსა და კლინიკის ბაზაზე ერთანტირაბიულკაბინეტს;

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მუნიციპლიტეტის ყველა სოფელს ჰყავს თავისი ექიმი და ექთანი, რომელებიც წლების განმავლობაშიემსახურებიან იმუნიზაცის სახელმწიფო პროგრამას, 0-დან 18 წლამდე ასაკის პირთა გეგმიურ ვაქცინაციას, ასევე აქვთ გამოცდილება ეპიდჩვენებით იმუნიზაციაშიც;

- ინფრასტრუქტურა: ტრანსპორტი, ასაცრელი მასალის ლოჯისტიკისა და ცივი ჯაჭვის უზრუნველყოფა, კომპიუტერი, პრინტერი და ინტერნეტის საჭიროება ადგილებზე;
- კოვიდ ვაქცინაციისთვის გადამზადებული და კარგად გაწვრთნილი საშუალო სამედიცინო პერსონალი, მრავალწლიანი რუტინული ვაქცინაციის გამოცდილებითა და დახელოვნებული ინფექციის კონტროლის ღონისძიებით;

- ანტივაქსერული დაჯგუფებები, რომლებიც, მასმედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით პირდაპირ მოუწოდებენ მოსახლეობას, რომ არ ჩაიტარონ ვაქცინაცია.

არსებული რესურსის გათვალისწინებით უნდა მოხდეს:

1. სამედიცინო დაწესებულებებში - ბოლნისის ცენტრალურ კლინიკაში კოვიდ ვაქცინაციის დანერგვა საქართველოს ეროვნული გეგმის შესაბამისად და კოვიდვაქცინაციის შესახებ ბრძანების მიხედვიტ, ინფექციის კონტროლით და რიგების მართვის ელექტრონული მოდულის საშუალებით
2. მოსახლეობის ინფორმირება კოვიდ ვაქცინაციის შესახებ, ქვეყანაში არსებული ვაქცინების შესახებ მათი დარწმუნება და ხელშეწყობა ვაქცინაციის პროცესისათვის ყველა დონეზე სოფლიდან დაწყებული ქალაქის ჩათლით;
3. ბოლნისში პირველ ეტაპზე ჩაერთო კოვიდ ვაქცინაციაში შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა სადაც მიმართვიანობის გამო საჭიროა: ვაქცინაციის მომსახურების მიმღები დაწესებულებების და ამცრელი პუნქტების ზრდა;

ღონისძიებები, რომელიც უნდა გატარდეს კოვიდ ვაქცინაციის ხელშეწყობის მიზნით:

1. კოვიდ ვაქცინაციის შტაბის ფუნქციონირება და კოვიდ ვაქცინაციისთვის აქტუალური საკითხების გუნდურად გადაწყვეტა კომპეტენციის ფარგლებში;
2. სამედიცინო დაწესებულებების, ფიზიკური პირების/ოჯახის ექიმებთან შეხვედრა, მათი მხრიდან პროფესიული პასუხისმგებლობის ფარგლებში კოვიდ ვაქცინაციისთვის საჭირო მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა, მათი მხრიდან თანხმობის შემთხვევაში.
3. ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედი მედ-პერსონალის დატრენინგება, რათა თითოეულმა შეძლოს სწორი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება ბენეფიციარებისათვის
4. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საინფორმაციო კამპანიის აქტიურად წარმოების მიზნით როგორ მიზნობრივ ჯგუფებთან (პედაგოგები, საჯარო მოხალეები და სხვ..) ასევე ეთნიკურ უმცირესობებთან, მათთვის გასაგებ ენაზე;
5. მოსახლეობის ტრანსპორტირებით ხელშეწყობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან ვაქცინაციის პროცესში, შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით და რისკების გათვალისიწინებით;
6. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობასთან კომუნიკაციის თვალსაზრისით ტერიტორიული ერთეულის მერის წარმომადგენლების და დეპუტატების ჩართულობა, ინფორმაციის გავრცელება სოფელში, ხელსეწყობა ვაქცინაციისთვის და არსებული ინფორმაციის მიწოდება მათი ხელმძღვანელის საშუალებით ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის, რომელიც დაგეგმავს და დაორგანიზებს ვაქცინაციას მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური დაცვით, კოვიდ რისკების გათვალისწინებით.
7. კერძო სექტორთან, რესურს ცენტრთან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან თანამშრომლობა და ხელშეწყობა ვაქცინაციის პროცესში;

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
დირექტორი: მაკა მამარდაშვილი
09/08/2021 წელი